ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური (ახალი)

KA010144792226216

№1/23367

05 / თებერვალი / **2016** წ.

მიხეილ კუჭავა
შპს„მკ დეველოპმენტი"

ბატონო მიხეილ,

თქვენს #100927/07 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

დანართი „ 1" (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (ახალი)
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-100927/07-1

"05" 02 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა ყიფშიძე, №9-ის მიმდებარედ (საკ.კოდი №01.14.14.002.091) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-100927/07 26.01.2016წ. ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტების მიერ გამოვლინდა, რომ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა ყიფშიძე, №9-ის მიმდებარედ (საკ.კოდი №01.14.14.002.091) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-100927/07 26.01.2016წ. ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ შეცდომით იქნა მითითებული დარღვევა – ,,საყრდენი კედლების ნაწილი ცდება წითელ ხაზს", ვინაიდან აღნიშნული საყრდენი კედლების წითელი ხაზებიდან გაცდენას ითვალისწინებს ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1480494 16.09.2014წ. ბრძანებით შეთანხმებულ პროექტზე დართული გენ-გეგმის ნახაზი.

სამსახურმა იმსჯელა ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად გადაწყვიტა, რომ №ბ-100927/07 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა საჭიროებს ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-100927/07 26.01.2016წ. ბრძანებაში და ბრძანებაში აღნიშნული დარღვევებიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი – ,, საყრდენი კედლების ნაწილი ცდება წითელ ხაზს".

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-100927/07 26.01.2016წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეწაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396